საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030163311330717

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/23040 **12 / აპრილი / 2017 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 27 მარტის № A17034017-004/001 შეტყობინებით სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დაეკისრა მარიზი გველესიანის სასარგებლოდ მიუღებელი პენსიის ანაზღაურება 985 ლარის ოდენობით (საჩხერის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 7 მარტი N3/89-15 გადაწყვეტილება) და აღსრულების საფასურის (2%) გადახდა 50 ლარის ოდენობით, სულ 1035 ლარის ანაზღაურება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საჭიროა „მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა“ (პროგრამული კოდი-35 02 01) პროგრამით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში განხორციელდეს დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება და „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „სხვა ხარჯებისა“ და „ვალდებულებების კლების“ მუხლებით გათვალისწინებული ასიგნებები.

ასევე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 4 აპრილის № 26800 შეტყობინებით სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა აღსრულების საფასურის (7%) გადახდა-385,56 ლარის ოდენობით. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საჭიროა „მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება“ (პროგრამული კოდი-35 02 02) პროგრამით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში განხორციელდეს დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება და „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „სხვა ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები.

გთხოვთ, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განახორციელოთ დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ვალერი კვარაცხელია